

808-03

2-571

ივ. ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ინესა ბესარიონის ასული მერაბიშვილი

პოეტური ტექსტი და მისი თარგმანი  
როგორც ლინგვისტური კვლევის ობიექტი  
(ინგლისური, ქართული და რუსული ენების  
მასალაზე)

სპეციალობა 10.01.12.

თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა  
თეორია და ისტორია

ავტორეფერატი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის  
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი

1998

ფილოლოგიის	35
16 03	1998

ნაშრომი შესრულებულია ივ. ჯავახიშვილის სახე-  
ლობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ინგლისური ფილოლოგიის კათედრაზე.

ექსპერტი: ფილ. მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფ. თემურ კობახიძე

- ოფიციალური ოპონენტები: 1. ფილ. მეცნიერებათა  
დოქტორი,  
პროფ. დავით გოცირიძე
2. ფილ. მეცნიერებათა  
დოქტორი,  
პროფ. ნელი საყვარელიძე
3. ფილ. მეცნიერებათა  
დოქტორი,  
როსტომ ჩხეიძე

ნამყვანი ორგანიზაცია: თბილისის ი. ჭავჭავაძის  
სახელობის დასავლურ ენათა და კულტურათა სა-  
ხელმწიფო ინსტიტუტი.

დისერტაციის დაცვა შედგება „17“ აპრილ 1998 წ. ჩხე

საათზე ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სა-  
ხელმწიფო უნივერსიტეტის P10.01 C N5 სადისერტაციო  
საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: 380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თსუ სამეცნიერო  
ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაიგზავნა „12“ მაის 1998 წ.

სადისერტაციო საბჭოს

სწავლული მდივანი,

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი

თ. კიკაჩიშვილი



ნაშრომს ვუძღვნი  
ჩემი ორი პროფესორის,  
მერი იანქოშვილისა და  
ილია გალპერინის ხსოვნას.

მხატვრული ლიტერატურა ხელოვნების ერთადერთი  
დარგია, რომელიც, როგორც სიტყვაზე აგებული და  
ნაშენი, საკუთარ ენობრივ საზღვრებშია ჩაკეტილი და,  
ამდენად, დედნის ენის მცოდნისთვისაა გასაგები  
მხოლოდ. ამავე დროს მაღალმხატვრულ ნაწარმოებში,  
და უპირველესად პოეზიაში, დევს ის მძლავრი მუსიკა,  
რომელიც მოსვენებას არ აძლევს სათანადო მკითხველს  
შედეგრი სხვა ხალხისთვისაც, სხვა ერისთვისაც  
ხელმისაწვდომი და ძვირფასი რომ არ გახადოს.

ამდენად, მთარგმნელის შრომა და თვით თარგმანის  
აქტი გამოწვეულია ობიექტური აუცილებლობით ერთ  
ენაზე განცდილი და გააზრებული გასცდეს ენობრივ  
საზღვრებს და რაც შეიძლება მეტი ენის, მეტი ერის  
კუთვნილებად იქცეს. სწორედ ამ მომენტში დევს  
თარგმანის დიდი ეროვნული ფუნქციაც და მისი  
ხელოვნების ნიმუშად გამოცხადების პირობაც.

თარგმანმცოდნეობა, ისევე როგორც თავად თარგმანი,  
მთელი თავისი წარსულით ნათლად მოწმობს იმ ფაქტს,  
რომ ყოველ ეპოქაში და ყოველ ქვეყანაში თარგმანი  
იყო გამოძახილი იმ ცოდნისა და კულტურისა, რომელიც  
გააჩნია ერს, ერთი მხრივ, ენის ფენომენის მიმართ, ხო-  
ლო, მეორე მხრივ, ნაწარმოების, როგორც ერთი მთლი-  
ანის გაგების თვალსაზრისით. ამდენად ნებისმიერი თარგმ-  
ანის ანალიზი მისი შესაბამისი დედნის ღრმა ანალიზს  
გულისხმობს და მხოლოდ მასთან ურთიერთობაში  
გამოვლინდება. ესება ეს უპირველესად პოეტურ ტექსტსა  
და მის თარგმანს, რომელიც განსაკუთრებული ინფორ-

18091

